



DOI: <https://doi.org/10.59172/2667-9876/2023-1/82-93>

## საქმიანი შესაძლებლობის მითვისების ახრძალვა და მისი გავლენა სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობაზე

### მარია ტურავა

სამართლის მაგისტრი (LL.M. ჩიკაგო, აშშ),  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი,  
მოწვეული ლექტორი

**რეზიუმე.** თანამედროვე სამეწარმეო საზოგადოების ეფექტიანი კორპორაციული მართვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს ხელმძღვანელი პირების მიერ ფიდუციური მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებას და მათ მიერ საქმიანობის განხორციელებას სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში. ერთგულების მოვალეობა ხელმძღვანელ პირს ავალდებულებს, პირად ინტერესზე მაღლა დააყენოს სამეწარმეო საზოგადოების ინტერესები. იქიდან გამომდინარე, რომ სამეწარმეო ურთიერთობების კომპლექსურობის ზრდასთან ერთად იმატებს კონფლიქტის საფრთხე სამეწარმეო საზოგადოების მიზნებსა და ხელმძღვანელი პირების პირად ინტერესებს შორის, აუცილებელია არსებობდეს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც მიმართულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისკენ და უზრუნველყოფს სამეწარმეო საზოგადოების მიზნების პრიორიტეტულად გათვალისწინებას საქმიანი შესაძლებლობების გამოყენებისას, რათა გაიზარდოს ბაზარზე საწარმოს მოგებისა და გრძელვადიანი წარმატების მიღწევის პოტენციალი. სწორედ აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება თანამედროვე საკორპორაციო სამართალში დამკვიდრებული კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა (Corporate Opportunity Doctrine), რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ხელმძღვანელი პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სამეწარმეო საზოგადოებისთვის განკუთვნილი საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობების მითვისებისა და ერთგულების ფიდუციური მოვალეობის დარღვევისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა, ერთგულების მოვალეობა, დირექტორის ფიდუციური პასუხისმგებლობა

## I. შესავალი

სამეწარმეო საზოგადოების კორპორაციული მართვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოს მართვასა და ხელმძღვანელობაზე და წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელი ორგანო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე პირისგან, რომლებიც წესდების შესაბამისად ერთობლივად ან ცალ-ცალკე ახორციელებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას<sup>1</sup>. საწარმოს ხელმძღვანელ პირს სამეწარმეო საზოგადოებასა და პარტნიორებთან აკავშირებს ფიდუციური ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობასა და ერთგულებას<sup>2</sup>. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია, საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით და იზრუნოს საზოგადოებაზე იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია<sup>3</sup>. ხელმძღვანელ პირს სამეწარმეო საზოგადოების მიმართ ეკისრება ფიდუციური მოვალეობები, რაც პირველ რიგში გულისხმობს ზრუნვისა (Duty of care) და ერთგულების მოვალეობებს (Duty of loyalty)<sup>4</sup>. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პირი ვალდებულია, საზოგადოების მიმართ დაიცვას კეთილსინდისიერების მოვალეობა (Duty of good faith), რომელიც, ერთი მოსაზრებით, ზემოთ ხსენებული ფიდუციური მოვალეობების, განსაკუთრებით ერთგულების მოვალეობის, ნაწილად ითვლება<sup>5</sup>, ხოლო მეორე მოსაზრების მიხედვით, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფიდუციურ მოვალეობად უნდა იქნეს მიჩნეული, რომლის დარღვევა კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა მოხდეს ზრუნვის და ერთგულების მოვალეობების დაცვის მიუხედავად<sup>6</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულება ხელმძღვანელი პირის ფიდუციური მოვალეობების განუყოფელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს, რომლებიც მას სამეწარმეო საზოგადოების მიმართ აქვს დაკისრებული.

ერთი მხრივ, ზრუნვის ფიდუციური მოვალეობა ავალდებულებს ხელმძღვანელ

1. იხ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (2021), მუხლი 41, მესამე პუნქტი.
2. Kenneth W. Clarkson, Roger LeRoy Miller, *Business Law: Text and Cases*, 15th Ed. (2021), Chapter 40, 762.
3. იხ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (2021), მუხლი 50, პირველი პუნქტი.
4. Roger LeRoy Miller, *Business Law Today*, 11th Edition (2017), Chapter 29-4c, 731.
5. Leo E. Strine Jr., *Lawrence A. Hamermesh*, R. Franklin Balotti, Jeffrey M. Gorris, *Loyalty's Core Demand: The Defining Role of Good Faith in Corporation Law* (2010), *The Georgetown Law Journal*, Vol. 98, 640, 690.
6. ილინოისის შტატის უზენაესი სასამართლოს 1983 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Joseph A. Couri v. Anthony J. Couri*, 95 Ill. 2d 91, 447 N.E.2d 334 (Ill. 1983).

პირს, სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღებისას იხელმძღვანელოს წინდახედულობის იმ მასშტაბით, რომელიც ანალოგიურ მდგომარეობაში უნდა გამოეჩინა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს<sup>7</sup>. ზრუნვის მოვალეობის შესაძლო დარღვევის შემოწმებისას, აქცენტი კეთდება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (არა შედეგზე)<sup>8</sup> და იმაზე, თუ რამდენად გადადგა ხელმძღვანელმა პირმა სათანადო ნაბიჯები იმისათვის, რომ ყოფილიყო საკმარისად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებამდე<sup>9</sup>, მეორე მხრივ, ერთგულების მოვალეობა ავალდებულებს საწარმოს ხელმძღვანელ პირებს სამეწარმეო საზოგადოების ინტერესები დააყენონ ყველაფერზე, მათ შორის, საკუთარ ინტერესებზე მაღლა და აკისრებს მათ ვალდებულებას, თავიანთი უფლებამოსილებები კეთილსინდისიერად, მეწარმე სუბიექტის სამეწარმეო მიზნების განხორციელებისა და მოგების მაქსიმალიზაციისთვის გამოიყენონ<sup>10</sup>. ერთგულების ფიდეუციური მოვალეობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელ პირს ეკრძალება სამეწარმეო საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედება და ისეთი ქმედებების განხორციელება, როგორცაა, მაგალითად, ხელმძღვანელი პირის მიერ სხვა საწარმოში საქმიანობით კონკურენციის გაწევა სამეწარმეო საზოგადოებისთვის (საზოგადოების თანხმობის გარეშე), გარიგებების დადება, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის მიუხედავად, და საზოგადოების საქმიანი შესაძლებლობების მითვისება<sup>11</sup>.

წინამდებარე სტატიაში განხილვის საგანს წარმოადგენს სწორედ სამეწარმეო საზოგადოების საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა, რომელიც ზღუდავს ხელმძღვანელი პირის უფლებას, ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე, საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის ან სხვა პირთა მიერ სარგებლის მისაღებად, ისარგებლოს სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით<sup>12</sup>.

## II. კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინის ძირითადი არსი

კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა (Corporate Opportunity Doctrine) თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. მისი მიზანია იმ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრა, რომელიც სა-

7. Charles Hansen, The Duty of Care, the Business Judgment Rule, and The American Law Institute Corporate Governance Project, in: *The Business Lawyer*, Vol. 48, № 4, 1993, 1356.

8. პენსილვანიის შტატის უზენაესი სასამართლოს 1964 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Leland E. Smith v. Brown-Borhek Company*, 414 Pa. 325, 333, 200 A.2d 398, 401 (1964).

9. Charles Hansen, The Duty of Care, the Business Judgment Rule, and The American Law Institute Corporate Governance Project, in: *The Business Lawyer*, Vol. 48, №4, 1993, 1358.

10. *William T. Allen, Reinier Kraakman, Vikramaditya S. Khanna, Commentaries and Cases on the Law of Business Organization*, Par. 259, Ch.7.1.

11. *William T. Allen, Reinier Kraakman, Vikramaditya S. Khanna, Commentaries and Cases on the Law of Business Organization*, Par. 259, Ch.7.1.

12. იხ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (2021), მუხლი 54, პირველი პუნქტი.

მეწარმეო საზოგადოებასა და მის ხელმძღვანელ პირს (პირებს) შორის შეიძლება წარმოიშვას. ფიდუციური მოვალეობებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელი პირი ვალდებულია, იმოქმედოს სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, დაუშვებელია მის მიერ, სამეწარმეო საზოგადოების საზიანოდ, საკუთარი თანამდებობრივი პოზიციის გამოყენება პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად და მოგების მისაღებად<sup>13</sup>. სწორედ ამ პრინციპის რეალიზებას ემსახურება კორპორაციული შესაძლებლობების დოქტრინა, რომელიც უკრძალავს ხელმძღვანელ პირს, როგორც სამეწარმეო საზოგადოების ფიდუციარს, მიითვისოს ის საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობა, რომლის მიმართაც საზოგადოებას გააჩნია უპირატესი ინტერესი<sup>14</sup>. თუკი ხელმძღვანელი პირისთვის ხელმისაწვდომი გახდება კორპორაციული შესაძლებლობა, რომლის მიმართაც სამეწარმეო საზოგადოებას აქვს გამოხატული ინტერესი ან თუ არსებობს ამგვარი ინტერესის გონივრული მოლოდინი, დაუშვებელია ხელმძღვანელმა პირმა ეს საქმიანი შესაძლებლობა გამოიყენოს თავისთვის<sup>15</sup>.

კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინიდან გამომდინარე, ხელმძღვანელმა პირმა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს მის მიმართ არსებული ნდობა პირადი ინტერესებისთვის და არ უნდა მიითვისოს სამეწარმეო საზოგადოებისთვის საჭირო ან საინტერესო საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობები<sup>16</sup>. აღნიშნული დოქტრინა მიჩნეულ უნდა იქნეს იმ ზოგადი პრინციპის გამოხატულებად, რომელიც ხელმძღვანელი პირისგან მოითხოვს მაქსიმალურად დაიცვას კეთილსინდისიერება იმ სამეწარმეო საზოგადოებასთან ურთიერთობაში, რომელსაც ის წარმოადგენს<sup>17</sup>. გარდა ამისა, ერთგულების მოვალეობა ავალდებულებს ხელმძღვანელ პირს დააყენოს პირად ინტერესებზე მაღლა საზოგადოების ინტერესები. სწორედ ამ მიზნის რეალიზებას ემსახურება კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინაც, რომელიც ზღუდავს მოქმედების არეალს ხელმძღვანელ პირთა მიერ სამეწარმეო საზოგადოების საზიანოდ ოპორტუნისტული ქმედებების განხორციელებისთვის<sup>18</sup>. აღსანიშნავია, რომ კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა ხელმძღვანელ პირს არამარტო პირადი ინტერესებისთვის, არამედ მესამე პირთა სასარგებლოდაც უკრძალავს სამეწარმეო საზოგადოების საქმიანი შესაძლებლობების მითვისებას<sup>19</sup>. ასეთ მიდგომას განაპირობებს ხელმძღვანელი პირისთვის

13. *James C. Slaughter*, The Corporate Opportunity Doctrine, *Southwestern Law Journal*, 18 (1964), 96.

14. *John E. Jackson III*, Corporate Opportunity Doctrine: A Historical View with a Proposed Solution, *Missouri Law Review*, Vol. 53, Issue 2 [1988], Art. 9, 394.

15. დელავერის შტატის უზენაესი სასამართლოს 1939 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Charles Guth v. Loft, Inc.*, 5 A.2d 503, 23 Del. Ch. 255 (Del. 1939).

16. *John E. Jackson III*, Corporate Opportunity Doctrine: A Historical View with a Proposed Solution, *Missouri Law Review*, Vol. 53, Issue 2 [1988], Art. 9, 394.

17. *Leo E. Strine Jr.*, *Lawrence A. Hamermesh*, *R. Franklin Balotti*, *Jeffrey M. Gorris*, *Loyalty's Core Demand: The Defining Role of Good Faith in Corporation Law* (2010), *The Georgetown Law Journal*, Vol. 98, 670.

18. *Holger Fleischer*, *Münchener Kommentar zum HGB*, 5. Aufl. 2022, HGB § 112, Rn. 69.

19. *Martin Henssler*, *Lutz Strohn*, *Gesellschaftsrecht*, 5. Aufl. 2021, GmbHG, §35 Rn. 24.



ერთგულების ფიდუციური მოვალეობის ფარგლებში მოქმედი ვალდებულება, შეასრულოს საზოგადოების წესდებით და კანონით განსაზღვრული ფუნქციები სამეწარმეო საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში. იქიდან გამომდინარე, რომ მეწარმე სუბიექტის მიერ სამეწარმეო საქმიანობის უმთავრეს მიზანს ფინანსური მოგების მიღება წარმოადგენს, ხელმძღვანელმა პირმა ხელმძღვანელობითი საქმიანობა უნდა განახორციელოს ისე, რომ ის მიმართული იყოს მეწარმე სუბიექტის მოგების მაქსიმალიზაციისკენ.

კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა მჭიდროდ არის დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის კონცეფციასთან, რომელიც ერთგულების ფიდუციური მოვალეობიდან გამომდინარეობს<sup>20</sup>, და მოიცავს შემთხვევებს, როცა ხელმძღვანელი პირის პირადი ინტერესები წინააღმდეგობაშია მის ფიდუციურ მოვალეობებთან. კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინის კონტექსტში, ასეთი კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ხელმძღვანელი პირი ცდილობს გამოიყენოს საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობა, რომელიც ეკუთვნის სამეწარმეო საზოგადოებას და არის მისთვის სასარგებლო<sup>21</sup>. სამეწარმეო საზოგადოების და ხელმძღვანელი პირის ინტერესებს შორის კონფლიქტის რისკი განსაკუთრებით დიდია კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში, რომელთაც ახასიათებთ ე.წ. უცხო ორგანოს კონცეფცია (Fremdorganschaft) და სადაც ხელმძღვანელობით საქმიანობას, ამხანაგური ტიპის საზოგადოებებისგან განსხვავებით, უმეტესად ახორციელებენ გარეშე პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებს<sup>22</sup>.

კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა, რომელიც აშშ-ის პრეცედენტული სამართლის წიაღიდან წარმოიშვა, დაფუძნებულია პრინციპზე, რომ ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან, დაკისრებული ერთგულების მოვალეობის შესაბამისად, პირადი ინტერესები სამეწარმეო საზოგადოების კეთილდღეობას დაუქვემდებარონ და ამ უკანასკნელის ინტერესები დააყენონ ყველაფერზე მაღლა<sup>23</sup>. კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინიდან გამომდინარე, პირს, რომელსაც ფიდუციური მოვალეობები ეკისრება სამეწარმეო საზოგადოების წინაშე, ეკრძალება პირადი სარგებლისთვის გამოიყენოს ის საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობები ან უპირატესობები, რომელიც ეკუთვნის სამეწარმეო საზოგადოებას<sup>24</sup>. შესაბამისად, ხელმძღვანელი პირის მიერ ფიდუციური მოვალეობების დარღვევის დასადგენად საჭიროა იმის განსაზღვრა, ეკუთვნოდა თუ არა საქმიანი შესაძლებ-

20. *Holger Fleischer*, Münchener Kommentar zum GmbHG, 4. Auflage 2023, §43, Rn. 224-225.

21. *John E. Jackson III*, Corporate Opportunity Doctrine: A Historical View with a Proposed Solution, *Missouri Law Review*, Vol. 53, Issue 2 [1988], Art. 9, 397.

22. *Florian Drinhausen, Hans-Martin Eckstein*, Beck'sches Handbuch der AG, 3. Auflage. 2018, §1, Rn. 88.

23. მასაჩუსეტსის შტატის უმაღლესი სასამართლოს 1997 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Demoulas v. Demoulas Super Markets, Inc.*, 424 Mass. 501, 677 N.E.2d 159 (Mass. 1997), 529.

ლობა სამეწარმეო საზოგადოებას და რამდენად მოხდა ხელმძღვანელი პირის მიერ ამ საქმიანი შესაძლებლობის უზურპაცია სამეწარმეო საზოგადოების საზიანოდ.

### III. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის ცალკეული ელემენტები და მათი შეფასების ტესტები

სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის შესაძლო დარღვევის შეფასებისას ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა საშუალებითაც მოხდება, ერთი მხრივ, კორპორაციული შესაძლებლობების იდენტიფიკაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დადგინდება, ეკუთვნის თუ არა კონკრეტული კორპორაციული შესაძლებლობა (Corporate opportunity) სამეწარმეო საზოგადოებას<sup>25</sup>.

კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინის გამოყენება და ხელმძღვანელი პირისთვის ფიდუციური პასუხისმგებლობის დაკისრება საჭიროებს სასამართლოს მხრიდან შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების შემოწმებას. პირველ რიგში, აუცილებელია კორპორაციული შესაძლებლობის არსებობა. სხვა შემთხვევაში ადგილი არ ექნება ხელმძღვანელი პირის მიერ სამეწარმეო საზოგადოების საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის დარღვევას<sup>26</sup>. იმ შემთხვევაში, თუ საქმეში დადგინდება კორპორაციული შესაძლებლობის არსებობა, რომელიც ეკუთვნის სამეწარმეო საზოგადოებას, მეორე ეტაპზე უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად მოხდა ხელმძღვანელი პირის მიერ კორპორაციული შესაძლებლობის გაცნობა სამეწარმეო საზოგადოებისთვის<sup>27</sup> და მის მიმართ პირადი დაინტერესების გამჟღავნება<sup>28</sup>. იმ შემთხვევაში, თუკი ხელმძღვანელი პირი აღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებს და კორპორაციულ შესაძლებლობას მიითვისებს, ადგილი ექნება მის მიერ ფიდუციური მოვალეობის დარღვევას<sup>29</sup>. ამის საპირისპიროდ, თუ ხელმძღვანელმა პირმა სრულყოფილად გააცნო კორპორაციული შესაძლებლობა სამეწარმეო საზოგადოებას, ხოლო სამეწარმეო საზოგადოების უფლებამოსილმა ორგანომ უარი თქვა ამ საქმიანი შესაძლებლობის გამოყენებაზე დაინტერესების არარსებობის გამო და ეს უარი არ იყო თაღლითური ქმედებით ან არასწორი ინფორმაციით განპირობებული, ხელმძღვანელ პირს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს საქმიანი შესაძლებლობა პირადი ან მესამე პირთა სარგებლისთვის<sup>30</sup>. გარდა იმისა, რომ სამეწარმეო

25. *Holger Fleischer*, Die Geschäftschancenlehre im Recht der BGB-Gesellschaft, NZG 2013, 361 (363).

26. *Eric Talley*, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, Yale Law Journal, Vol. 108, Issue 2, November 1998, 277, 287-288.

27. *James C. Slaughter*, The Corporate Opportunity Doctrine (1964), Southwestern Law Journal, 18 (1), 96, 104.

28. *Eric Talley*, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, Yale Law Journal, Vol. 108, Issue 2, November 1998, 277, 288.

29. *Eric Talley*, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, Yale Law Journal, Vol. 108, Issue 2, November 1998, 277, 288.

30. *James C. Slaughter*, The Corporate Opportunity Doctrine (1964), Southwestern Law Journal, 18 (1), 96, 104.

საზოგადოებას შეუძლია ფორმალურად (ექსპლიციტურად) გამოხატოს უარი ხელმძღვანელი პირის მიერ შემოთავაზებულ საქმიან შესაძლებლობაზე, აღნიშნული უარი შეიძლება გამოთქმულ იქნეს იმპლიციტურადაც, რაც გულისხმობს შემთხვევებს, როცა სამეწარმეო საზოგადოების უფლებამოსილი ორგანოსთვის ცნობილია ხელმძღვანელი პირის ინტერესის სფეროში არსებული კორპორაციული შესაძლებლობის შესახებ, თუმცა სამეწარმეო საზოგადოების მხრიდან არ ხდება ამაზე სათანადო რეაგირება<sup>31</sup>. მეწარმე სუბიექტის მხრიდან (ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად) უარის არგამოხატვის შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირის მიერ სამეწარმეო საზოგადოების კუთვნილი კორპორაციული შესაძლებლობის მითვისება გამოიწვევს ერთგულების ფიდუციური მოვალეობის დარღვევას და მისთვის სასამართლოს მიერ კორპორაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას<sup>32</sup>.

კორპორაციული დოქტრინის გამოყენებისას კორპორაციული შესაძლებლობის დასადგენად დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა თეორია, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოხდეს ამ დოქტრინის ფუნდამენტური ელემენტის განსაზღვრა, კერძოდ, იმის დადგენა, თუ რამდენად ეკუთვნის კონკრეტული საქმიანი შესაძლებლობა სამეწარმეო საზოგადოებას. აღნიშნული თეორიების საფუძველზე ჩამოყალიბდა სამი ძირითადი შეფასების ტესტი, კერძოდ, „Interest-or-Expectancy“, „Line-of-Business“ და „Fairness“ ტესტები, შესაბამისად, საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობის დადგენა შესაძლოა მოხდეს იმის გათვალისწინებით: (1) აქვს თუ არა სამეწარმეო საზოგადოებას ინტერესი ან მოლოდინი საქმიანი შესაძლებლობის მიმართ; (2) ექცევა თუ არა საქმიანი შესაძლებლობა სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროში; (3) სამართლიანობის ასპექტების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს თუ არა შესაძლებლობის მიკუთვნება სამეწარმეო საზოგადოებისთვის<sup>33</sup>.

„Interest-or-Expectancy“ ტესტის შესაბამისად, კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინის ფარგლებში უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა სამეწარმეო საზოგადოების საქმიანი ინტერესი ან მოლოდინი კორპორაციული შესაძლებლობის მიმართ<sup>34</sup>. ამ ტესტის მიხედვით, მეწარმე სუბიექტის საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა ვრცელდება იმგვარ კორპორაციულ შესაძლებლობებზე, რომლებთან მიმართებაში უკვე არსებობს სამეწარმეო საზოგადოების ინტერე-

31. *Michael Begert*, The Corporate Opportunity Doctrine and Outside Business Interests, The University of Chicago Law Review, vol. 56, №2, 1989, 827, 837.

32. *Eric Talley*, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, Yale Law Journal, Vol. 108, Issue 2, November 1998, 277, 288.

33. *Michael Begert*, The Corporate Opportunity Doctrine and Outside Business Interests, The University of Chicago Law Review, vol. 56, №2, 1989, 827, 837-838.

34. ალაბამას შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Lagarde v. Anniston Lime & Stone Co.*, 126 Ala. 496, 28 So. 199 (1900).

სი სახელშეკრულებო უფლებიდან (ურთიერთობიდან) გამომდინარე<sup>35</sup> ან რომლებთან მიმართებაშიც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ ეს საქმიანი შესაძლებლობები გადაიქცევა სახელშეკრულებო უფლებად, რის საფუძველსაც ქმნის, მაგალითად, სამეწარმეო საზოგადოებასა და მესამე პირებს შორის არსებული გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობები<sup>36</sup>.

„Line-of-Business“ ტესტის თანახმად, სამეწარმეო საზოგადოების ფიდუციარისთვის შეთავაზებული კორპორაციული შესაძლებლობის მიმართ უპირატესი ინტერესი (მოთხოვნა) გააჩნია სამეწარმეო საზოგადოებას, თუკი აღნიშნული შესაძლებლობა ექცევა სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროში და ხელმძღვანელი პირისთვის საქმიანი შესაძლებლობა ცნობილი გახდა (შეთავაზებულ იქნა) მისი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე<sup>37</sup>. კორპორაციული შესაძლებლობა ექცევა სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროში, როდესაც ეს საქმიანი შესაძლებლობა მჭიდროდ დაკავშირებულია მეწარმე სუბიექტის არსებულ ან პოტენციურ საქმიანობასთან<sup>38</sup>. ამ ტესტის მიხედვით, ხელმძღვანელმა პირებმა თავი უნდა შეიკავონ იმგვარი საქმიანი (კორპორაციული) შესაძლებლობის გამოყენებისგან, რომელიც მეწარმე სუბიექტისთვის პოტენციურად სარგებლიანია და ექცევა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის სფეროში<sup>39</sup>. ფიდუციური მოვალეობებიდან გამომდინარე, დაუშვებელია, ხელმძღვანელმა პირებმა პირადი ინტერესებისთვის გამოიყენონ მათ მიმართ არსებული ნდობა და დაარღვიონ ერთგულების მოვალეობა<sup>40</sup>. გარდა ამისა, „Line-of-Business“ ტესტის ფარგლებში, უნდა გაანალიზდეს, თუ რამდენად შეძლებს სამეწარმეო საზოგადოება ამ საქმიანი შესაძლებლობის გამოყენებას, განსაკუთრებით, ფინანსური თვალსაზრისით<sup>41</sup>.

„Fairness“ ტესტის მიხედვით, საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანია კონკრეტულ ვითარებაში, მეწარმე სუბიექტის ინტერესების გათვალისწინებით, ხელმძღვანელი პირის მიერ

35. *Eric Talley*, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, *Yale Law Journal*, Vol. 108, Issue 2, November 1998, 277, 292.

36. *Eric Talley*, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, *Yale Law Journal*, Vol. 108, Issue 2, November 1998, 277, 292.

37. დელავერის შტატის უზენაესი სასამართლოს 1939 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Charles Guth v. Loft, Inc.*, 5 A.2d 503, 23 Del. Ch. 255 (Del. 1939).

38. *John E. Jackson III*, Corporate Opportunity Doctrine: A Historical View with a Proposed Solution, *Missouri Law Review*, Vol. 53, Issue 2 [1988], Art. 9, 398.

39. *Michael Begert*, The Corporate Opportunity Doctrine and Outside Business Interests, *The University of Chicago Law Review*, vol. 56, №2, 1989, 827, 838.

40. დელავერის შტატის უზენაესი სასამართლოს 1939 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Charles Guth v. Loft, Inc.*, 5 A.2d 503, 23 Del. Ch. 255 (Del. 1939).

41. *Eric Talley*, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, *Yale Law Journal*, Vol. 108, Issue 2, November 1998, 277, 291.



კორპორაციული შესაძლებლობის პირადი გამოყენება<sup>42</sup>. ამგვარი სამართლიანობის დასადგენად არ არსებობს რაიმე კონკრეტული წესი, შესაბამისად, საჭიროა იმ ფაქტებისა და გარემოებების მთლიანობაში შეფასება, რომლებიც არსებობდა ხელმძღვანელი პირის მიერ კორპორაციული შესაძლებლობის მითვისების დროს<sup>43</sup>. საქმიანი შესაძლებლობა უნდა ჩაითვალოს სამეწარმეო საზოგადოების კუთვნილ შესაძლებლობად, თუკი მისი მითვისება ფიდუციარის მიერ ვერ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, თუ რა არის კონკრეტულ ვითარებაში ეთიკური და სამართლიანი მეწარმე სუბიექტისთვის, რაც წარმოადგენს რთულად შესაფასებელ კრიტერიუმს<sup>44</sup>.

#### IV. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა ქართულ საკორპორაციო სამართალში

საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის მოწესრიგება წარმოადგენს 2021 წელს მიღებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მნიშვნელოვან სიახლეს. მოქმედი კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, სამეწარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის ან, ამ საზოგადოების გარდა, სხვა პირთა მიერ სარგებლის მისაღებად ისარგებლოს სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომელიც აღნიშნული პირისთვის ხელმისაწვდომი გახდა საქმიანი მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ საქმიან შესაძლებლობებზე, რომლებიც გონივრული თვალსაზრისით სამეწარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლება ყოფილიყო<sup>45</sup>. ამავე მუხლში განსაზღვრულია, რომ სამეწარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის მიღება საჭირო არ არის, თუ საერთო კრებამ ან სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე<sup>46</sup>. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა უზღუდავს ხელმძღვანელ პირს იმის შესაძლებლობას, გამოიყენოს და განახორციელოს ბიზნესპერსპექტივები მანამ, სანამ ის საქმიან შესაძლებლობას ჯერ არ შესთავაზებს სამეწარმეო საზოგადოებას, რაც გამომდინარეობს ერთგულების მოვალეობიდან, რომლის ფარგლებშიც ის, როგორც ფიდუციარი, ვალდებულია, რომ სამეწარმეო საზოგადოების ინტერესები პირად ინტერესზე მაღლა დააყენოს<sup>47</sup>.

42. მასაჩუსეტისის შტატის უმაღლესი სასამართლოს 1948 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Durfee v. Durfee Canning, Inc.*, 323 Mass. 187, 203, 80 N.E.2d 522.

43. *James C. Slaughter*, The Corporate Opportunity Doctrine, *Southwestern Law Journal*, 18 (1964), 98.

44. *Eric Talley*, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, *Yale Law Journal*, Vol. 108, Issue 2, November 1998, 277, 293.

45. იხ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2021) 54-ე მუხლის I პუნქტი.

46. იხ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2021) 54-ე მუხლის I პუნქტი.

47. მასაჩუსეტისის შტატის უმაღლესი სასამართლოს 1997 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Demoulas v. Demoulas Super Markets, Inc.*, 424 Mass. 501, 677 N.E.2d 159 (Mass. 1997), 529.

2021 წლამდე მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტში განსაზღვრული იყო, რომ პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე ხელმძღვანელ პირებს არ ჰქონდათ უფლება, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოეყენებინათ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. აღნიშნული დათქმა ვრცელდებოდა მხოლოდ ინფორმაციაზე და არა საქმიან შესაძლებლობაზე, როგორც ეს მოქმედი კანონით არის განსაზღვრული 54-ე მუხლში, რომელმაც ქართული კანონმდებლობა მეტად დაუახლოვა ამერიკული პრეცედენტული სამართლის წიაღში წარმოშობილ კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინას.

მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ასევე განსაზღვრავს კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინის სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ, დადგენილია, რომ საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში, სამეწარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს ამ დარღვევით სამეწარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება. სამეწარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის სამეწარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა<sup>48</sup>. რაც შეეხება მოთხოვნის რეალიზებას, ამ უფლების გამოყენება შეუძლია როგორც ხელმძღვანელ ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს, ისე სამეწარმეო საზოგადოების თითოეულ პარტნიორს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში<sup>49</sup>.

## V. დასკვნა

კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა (Corporate opportunity doctrine) არის თანამედროვე საკორპორაციო სამართლის მნიშვნელოვანი პრინციპი და მჭიდროდ უკავშირდება ხელმძღვანელი პირის ერთგულების მოვალეობას, რომელიც მას, როგორც ფიდუციარს, ეკისრება სამეწარმეო საზოგადოების წინაშე. კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინა ემსახურება ხელმძღვანელი პირების და სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორთა ინტერესების დაბალანსებას და იმის უზრუნველყოფას, რომ სამეწარმეო საზოგადოების კუთვნილი კორპორაციული შესაძლებლობები უსამართლოდ არ მიისაკუთროს და გამოიყენოს ხელმძღვანელმა პირმა პირადი ინტერესებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ერთგულების ფიდუციური მოვალეობა ხელმძღვანელ პირს აკისრებს ვალდებულებას პირად ინტერესებზე მაღლა სამეწარმეო საზოგადოების ინტერესები დააყენოს, მას ეკისრება ვალდებულება, იმოქმედოს კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ და სამეწარმეო საზოგადოებას გაუმჟღავნოს კონკრეტულ კორპორაციულ შესაძლებლობას-

48. იხ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2021) 54-ე მუხლის მეორე პუნქტი.

49. იხ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2021) 54-ე მუხლის მესამე პუნქტი.

თან დაკავშირებული პირადი დაინტერესება ამ შესაძლებლობის გამოყენებამდე, რათა არ მიადგეს სამეწარმეო საზოგადოებას ზიანი და არ მოხდეს ხელმძღვანელი პირის მიერ ფიდუციური მოვალეობის, კერძოდ, ერთგულების მოვალეობის დარღვევა. ხელმძღვანელი პირისთვის საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის ფარგლებში დაკისრებული ერთგულების, კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მოთხოვნები ემსახურება მეწარმე სუბიექტის ინტერესების დაცვას და პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილებას სამეწარმეო საზოგადოებასა და მის ხელმძღვანელ პირებს შორის, იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტმა შეძლოს თავისი მოგების მაქსიმალიზაცია.

სამეწარმეო საზოგადოების საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა, რომელიც კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინის სახელით არის ცნობილი, წარმოადგენს თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს და მან 2021 წელს საქართველოში განხორციელებული ძირეული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად დაიმკვიდრა ადგილი „მეწარმეთა შესახებ“ ახალ კანონში, რითაც ქართული საკორპორაციო სამართალი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა დასავლურ სამართლებრივ სისტემებს, განსაკუთრებით, აშშ-ის საკორპორაციო სამართალს. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინის საკანონმდებლო მოწესრიგება ქართულ სამართალში წარმოადგენს უდავოდ წინ გადადგმულ ნაბიჯს ქართული საკორპორაციო სამართლის ინტერნაციონალიზაციის და ევროპეიზაციის პროცესში, სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნება საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის და მისი ცალკეული ელემენტების განმარტებასთან დაკავშირებით მკაფიო კრიტერიუმების ჩამოყალიბება ქართული სასამართლო პრაქტიკის დახმარებით, რათა დოქტრინის ცალკეულ წინაპირობებთან მიმართებაში ჩამოყალიბდეს გონივრული მიდგომები და შეფასების სტანდარტები, რომელიც გააადვილებს პრაქტიკაში კორპორაციული შესაძლებლობის დოქტრინის გამოყენებას, მის შინაარსობრივ დახვეწას და მასთან დაკავშირებული ზოგადი სამართლებრივი ტერმინოლოგიის სიღრმისეულ გაგებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Charles Hansen, The Duty of Care, the Business Judgment Rule, and The American Law Institute Corporate Governance Project, in: The Business Lawyer, Vol. 48, №4, 1993, 1355-1376.
2. Eric Talley, Turning Servile Opportunities to Gold: A Strategic Analysis of the Corporate Opportunities Doctrine, Yale Law Journal, Vol. 108, Issue 2, 1998, 277-375.
3. Florian Drinhausen, Hans-Martin Eckstein, Beck'sches Handbuch der AG, 2018.
4. Holger Fleischer, Die Geschäftschancenlehre im Recht der BGB-Gesellschaft, Neue Zeitschrift für Gesellschaftsrecht (NZG), 2013, 361-367.
5. Holger Fleischer, Münchener Kommentar zum GmbHG, 4. Auflage 2023.

6. Holger Fleischer, Münchener Kommentar zum HGB, 5. Aufl. 2022.
7. James C. Slaughter, The Corporate Opportunity Doctrine, Southwestern Law Journal, Volume 18, Issue 1 (1964), 96-116.
8. John E. Jackson III, Corporate Opportunity Doctrine: A Historical View with a Proposed Solution, Missouri Law Review, Vol. 53, Issue 2 [1988], Article 9, 393-405.
9. Kenneth W. Clarkson, Roger LeRoy Miller, Business Law: Text and Cases, Cengage Learning, 15th Edition (2021).
10. Leo E. Strine Jr., Lawrence A. Hamermesh, R. Franklin Balotti, Jeffrey M. Gorris, Loyalty's Core Demand: The Defining Role of Good Faith in Corporation Law (2010), The Georgetown Law Journal, Vol. 98, 629-696.
11. Martin Henssler, Lutz Strohn, Gesellschaftsrecht, 5. Aufl. 2021, GmbHG.
12. Michael Begert, The Corporate Opportunity Doctrine and Outside Business Interests, The University of Chicago Law Review, Vol. 56, Issue 2 (1989), 827-863.
13. Roger LeRoy Miller, Business Law Today, 11th Edition (2017).
14. William T. Allen, Reinier Kraakman, Vikramaditya S. Khanna, Commentaries and Cases on the Law of Business Organization, Wolters Kluwer, Sixth edition, 2021.

#### ციტირებული სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. ალაბამას შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Lagarde v. Anniston Lime & Stone Co., 126 Ala. 496, 28 So. 199 (1900).
2. დელავერის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Charles Guth v. Loft, Inc., 5 A.2d 503, 23 Del. Ch. 255 (Del. 1939).
3. ილინოისის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Joseph A. Couri v. Anthony J. Couri, 95 Ill. 2d 91, 447 N.E.2d 334 (Ill. 1983).
4. მასაჩუსეტის შტატის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Demoulas v. Demoulas Super Markets, Inc., 424 Mass. 501, 677 N.E.2d 159 (Mass. 1997).
5. მასაჩუსეტის შტატის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Durfee v. Durfee Canning, Inc., 323 Mass. 187, 203, 80 N.E.2d 522.
6. პენსილვანიის შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Leland E. Smith v. Brown-Borhek Company, 414 Pa. 325, 333, 200 A.2d 398, 401 (1964).